**რედაქცია**
მელიქიშვილის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

**ხელის-მოწერა**
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

**გაზეთის ფასი**
წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

### დღიური

—

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ზოგიერთები მოტყუებულან და ნამდვილი გონებიათ ის მელოტობის წამალი, რომლის გამოცხადება თითქმის ყველა ტფილისის გაზეთებში და, სხვათა შორის, ჩვენს გაზეთშიაც იბეჭდება. ამბობენ, მარტო სამეგრელოდამ უკანასკნელ ასმა კაცმა გამოგზავნა ლონკოს მაღაზიაში ფულები და ეს წამალი მოითხოვესო.

ვსწუხვართ, თუ ძალა-უნებურად ზოგიერთი ჩვენი ადვილად-მორწმუნე მკითხველთაგანი უბრალო ხარჯში შევიყვანეთ.

საქმე იმაშია, რომ რედაქცია სრულიად ვალდებული არ არის, რომ ყველა ის განცხადება, რაც გაზეთის მეოთხე ფურცელზე იბეჭდება, შეამოწმოს, დარწმუნდეს — ნამდვილია თუ არა, და მერე დაბეჭდოს. არც ერთს რედაქციას არ შეუძლიან ამის კისრება. ის განსაზღვრულ ფასს იღებს ყოველ განცხადების დაბეჭდვაში და ამით კმაყოფილდება; ზოგიერთი გაზეთების უმთავრესი შემოსავალი ამ განცხადებებიდამ არის, და ის სრულიად პასუხის-მგებელი არ არის იმაში, რაც ამ განცხადებებში იბეჭდება. გამოცდილი მკითხველი, რასაკვირველია, იმ წამსვე მიხვდება — რა არის მართალი ამგვარ განცხადებებში და რა არა. და რადგან ზოგიერთი ჩვენი მკითხველები მოტყუებულან, მაშასადამე ამით შემდეგში, თმას თუ ვერა, გამოცდილებას მაინც შეიძენენ და მე ასე ადვილად, იმედია, აღარ მოტყუვდებიან.

*
* *

ჩვენს ოფიციალურს გაზეთში მთავარ სამმართველოს უფროსის, სენატორის კლუშინის ცირკულიარია დაბეჭდილი, რომლითაც კავკასიის გუბერნატორებისა და სხვა იმათ თანასწორ პირების ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ ერთობ გამრავლდნენ მათხოვრებიო და ამის გამო ფიცხელი განკარგულება უნდა მოახდინოთო, რომ სადაც კი უძლური მოხუცებული მათხოვრები შეგვხდნენ, ტფილისის თავშესაფარ სახლში უნდა გაგზავნოთო და ყმაწვილები კი ან სასწავლებელში მისცეთ იმ სოფლის საზოგადოების ხარჯით, რომელსაც ისინი ეკუთვნიან და ან სხვა რომელიმე საშუალებით ბინა უჩინოთო. ქუჩაზე თრევა და წოწიალი მათხოვრებისა, კანონით, ფიცხლად აკრძალული არისო.

*
* *

გასულ ორშაბათს უკანასკნელი სხდომა იყო ჩვენი ქალაქის გამგეობისა; ამ ზაფხულ მეტი სხდომა აღარ იქნება, რადგან ამ სიცხეებში ხმოვანთ მოსვენება ეჭირებათ. შემოდგომაზე ენკენისთვიდამ ისევ დაიწყება სხდომები.

*
* *

ერთად-ერთი საზოგადო ადგილი აქვთ ტფილისის მცხოვრებთა, რომ ამ ფათანაქება სიცხეში საღამოობით მაინც ცოტაც არის სული მოითქვან; ეს ადგილი არის ალექსანდროვის ბაღი. მაგრამ დღემდი ესეც ისეთი მტვრიანი იყო, რომ საკმაო იყო, ორ-სამ კუდოსან ქალს გაევლო, რომ მთელი ბაღი აემტვერებინა. ახლა კი, მადლობა ღმერთს, ყოველ საღამოობით მორწყვა დაიწყეს, და ამისთვის, როგორც „ტფ. მოამბე" გვაცნობებს, 1 განყოფილების პოლიციმეისტერს უფ. ნაუმენკოს უნდა უმადლოდეთ, რომლის თხოვნითაც სახელმწიფო ქონების სამმართველოს, ამ ბაღის მოსარწყავად, თვეში 75 მანეთი დაუნიშნავს.

*
* *

ახალციხიდამ გვწერენ, რომ წლევანდელი გაზაფხული გავისტუმრეთ საშინელის გვალვითაო, მაგრამ მას შემდგომ ჩვენსა და ახალქალაქის მაზრაში ერთობ ხშირი და დიდი წვიმები დაიწყოო. „თითქმის ყოველ დღე წვიმს. როგორც ამბობენ, ამ ივნისის 6-ს წვიმის ღვარს ბევრი თესლეული წაუხდენია ახალქალაქის მხარეს; სოფელ აზავრეთის ერთი უბანი, თითქმის ოცი მოსახლეს სახლ-კარი, ეკკლესიის ერთი კუთხე და სოფელ ბოკიას ქვეშე წისქვილები სრულიად დაუმუსრავს და წაუღებია ასე, რომ მცხოვრებლებს ძლივსღა მოუსწრებიათ მეორე უბანში გადასვლა. მნახველები ამტკიცებენ, რომ ამ ნასოფლარ ადგილს არა ეტყობაო — თუ ოდესმე აქ სოფელი ყოფილა ან უცხოვრია ვისმესო. წვიმებს სეტყვა მოჰყვა და მეხი, რომელმანც ამას წინაზე ერთი კაცი მოჰკლა.

„ამ ივნისის 5-ს სოფ. უდეს ერთს მცხოვრებელმა ამავე სოფლის გლეხის რვა წლის გოგო დაიჭირა და ურჯულოთ აწვალა. მწვალებელი გაიქცა და ყაჩაღებს შეუერთდა, რომელნიც ამჟამად ჩვენს მაზრაში საკმაოდ არიან."

*
* *

ტელავიდამ ერთს ამბავს გვწერენ, რომელიც მაინცა-და-მაინც გასაკვირველი არ არის კახეთში ჩასახლებული სხვა და სხვა მხრით განთქმული ვაჭრებისაგან: ამ დღეებში ბაზარში ჩავიარეო და ვნახეო, რომ ერთ დუქანთან მრავალი ხალხი შეკრებილიყო; რაღაც ყაყანი და მოძრაობა იყოვო. მიველ, ვნახე და იქ მდგომთა შემდეგი გარემოება მიამბესო: ერთს აქაურ ვაჭარს ფ—ს მეორესაგან ი—საგან ერთი ურემი ღვინო ეყიდნა შარშან 120 მანეთად. დაპირებულ დროზე მყიდველს 100 მანეთი მიეცა; შემდეგ თვითონ მისულიყო, თან დანარჩენი 20 მანეთი მიეტანა და ღვინო უნდა წამოეღოვო. მაგრამ გამყიდველმა ღვინის მიცემაზედ უარი განაცხადა. ფულების დაბრუნება სთხოვა თურმე მყიდველმა; ი—მა ამაზედაც უარი უთხრა: — რა მოგიცია, რა დაგიბრუნოო?! აი ამ საქმის თაობაზე იყო ის ამბავი. საქმე მომრიგებელ მოსამართლემდი მივიდა. მაგრამ, რადგან ეს ფ—ვი ღარიბი კაცია და ამ ზიანისაგან უფრო დაღარიბდებაო, ამის გამო თელაველებმა ხელი მოუმართეს: ათმა კაცმა თითო თუმანი გამოიღეს და მისცეს.

*
* *

ოზურგეთიდამ ხშირი წერილები მოგვდის იმის თაობაზე, რომ გლეხები გზების მუშაობის გამო ძალიან შევიწროებული არიან. გლეხებში ხმა არის გავარდნილიო, რომ ამ მუშაობისთვის დღეში თითო აბაზი არის

## ფელეტონი

### თაგვების ლათაია

„დავკარგე ფერის" ხმაზედ

—

შეყრილან თაგვები;
რჩევა ჰქონიათ,
როცა კატის ხმა
გაუგონიათ.

—

უთქვამს ვირ-თაგვას,
უკუდოს და ხმელს:
„რატომ ერთმანერთს
„ჩვენ არ მივსცემთ ხელს?

—

„ნუ თუ არ გესმისთ
„კატის ჰკავილი,
„რომლისგანაც მაქვს
„ზურგის ქავილი?

—

„თქვენ ჯერ არა ხართ
„გამოცდილები,
„და მე კი მახსოვს
„მათ ბრჭყალ-კბილები!

—

„თუ არ გსმენიათ,
„აწ მომისმინეთ—
„თუ მე რა მიყვეს
„სამის წლის წინეთ:

—

„გამინავარდეს,
„წინ გამიხტუნეს,
„საქმე და ქცევა
„რომ დამიწუნეს.

—

„ბრჭყალები გამკრეს,
„ამაწრიპინეს;
„მაგრამ ხელი ვერ
„ამალებინეს

—

„იმ თაროზედა,
„სითკენც მე მარად
„მიეიპაროდი
„ჩუმათ, მშიშარად!

—

„ახლა მე იქ ვარ
„სრული პატრონი,
„და იმედიც მაქვს
„მომეცხოს ქონი,

—

„თუ ეს კატები
„არ იქნებიან;
„თორემ იცოდეთ,
„ადრე თუ გვიან,

—

„თქვენც არ დაგზოგვენ
„გაუტანლები!
„მე კარგათ ვიცი
„მათი ბრჭყალები!"

—

მათს რიცხვში თურმე
იყო თრითინა;
რომ გაიგონა
ეს, გაიცინა.

—

ადგა და უთხრა
ზოგ-ზოგ თაგვებსა:
„თქვენ ვერ მოარტყამთ
„იმ კატებს ქვებსა.

—

„თქვენგანი ეჭვანს
„ვერ ვინ შეაბამს!
„და რასაც ჰფიქრობთ,
„ის დაგიშაბამსთ.

—

დალონდა ამით
ჩვენი ვირ-თაგვა;
სევდა მოედვა,
აქვს წვა და დაგვა!

—

და აღარ იცის,
ვის მიეკედლოს?
სიყვითლეს კიდევ
როგორ გაუძლოს!

აკაკი

დანიშნული და ჩვენ კი ეს რამდონი ხანია ემუშაობთ, მაგრამ ჯერ კაპეიკიც არ მიგვიღია.

რამდენჯერმე გამოცხადებულს ჩვენს სურვილს ვიმეორებთ: რომ გამოუცხადონ ხალხს ის განკარგულება, რომლის ძალითაც ისინი ვალდებულნი არიან ან მუქთად: იმუშავონ ან თუ ფულით, რამდენი ერგებათ დღეში...

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ გასულ კვირას უფ. შრიდონოვი, პოჯორს, ტყეში რევოლვერს ისროდა რუმე მიზანში და ტყვია უეცრად ხუთი წლის ქალს შადინოვისას მოხვედრია. ამბობენ, ქალი მძიმედ არის დეჭრილიო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ახალ-სენაკი, 12 ივნისს.** როდესაც ახალ-სენაკი უეზდის წარმომადგენელ პუნქტათ გაკეთდა, ერთმა ჩემმა ნაცნობმა პირმა მითხრა, რომ ვინც ამისთანა უწყლო ადგილი სამეგრელოში გამოძებნა, იმას უეჭველად, ჯილდო ერგებაო!

სამეგრელოში რომ მდინარეებია და საზოგადოდ წყლები, იმდენი არსად არის მგონია და მაინცა-და-მაინც რა გასაჭირი იყო, რომ ამისთანა უწყლო ადგილზე ქალაქი არ გაეშენებიათ. ვითომ ბუნებას და მხარეს წყლებით სიუხვეს დასცინეს! მაგრამ მოგვეცათ ღვთის წყალობა, ბუნებამაც ძვირათ დაუჯდინა ზოგიერთ ბატონებს მათი დაცინება: გაუჩინა ციებ-ცხელება ასე, რომ სულ ამანი აყვირა. ეხლა კი იტყვიან მართალს, თუ რომელი ადგილი უფრო სიმრთელიანი და მოთავსებული იყო ქალაქისათვის; მაგრამ გვიან არის.

აქ სენაკის უწყლობაზე და მის შესაძლებელ გაუმჯობესობაზე შემდეგ ვილაპარაკოთ, ეხლა მე მინდა მოგახსენოთ რამოდენიმე ახალი ამბავი, რომელიც სასაცილოც არის და სამწუხაროც; სასაცილო იმათთვის, ვინც თვითონ არ გამხდარა მსხვერპლი რომელიმე უგუნურებისა, და სხვას თუ გინდ კისერიც წასწყვიტონ, იმის დარდიც არა აქვს, და სამწუხარო იმათთვის, რომლებიც თვითონ გამხდარან მსხვერპლად უჭეცრებისა და უპატიოსნობის და საზოგადოდ სხვის მწუხარებასაც არ უყურებენ გულგრილათ. დავიწყოთ კინკლაობით და გავათაოთ გამოსალმებით.

მრთს მომრიგებელ მოსამართლეს ცოლიანი მზარეული ჰყავდა

ეს ცოლი მუდამ თავის სახლში იყო და რადგანაც ქმარი ძრიელ ძვირათ დადიოდა თავის სახლში, მასთან სულ ყმაწვილიც არ ბრძანდებულა,— ცოლს, რომელიც ჯერ ძრიელ ყმაწვილი და ძალიან ლამაზიც არის, შეჰყვარებია ერთი მისი მეზობელი ახალგაზდა გლეხი, ისიც ცოლიანი. ეს მზარეულმა - ქმარმა გაიგო, აენთო თავმოყვარეობით და მიჰმართა თავის პატრონს—მსაჯულს რჩევისათვის. ამ უკანასკნელმა, რასაკვირველია, მიიღო დიდი მონაწილეობა შეურაცხჰყოფილი ქმრის მდგომარეობაში, ერთის მხრით იმისათვის, რომ თვითონაც ცოლიანი კაცი იყო და „სოლიდნი“ წლოვანებისა, შეიძლებოდა, ამისთანა უბედურებას თვითონაც გარდაჰკიდებოდა, თუ წინდა წინ არ იქმნენ მიღებულნი ზომანი დატუქსვისათვის ისრეთთა პირთა, რომელნიცა აძლევენ თავის თავს ნებას სხვისი ცოლების აშიყობისას...

დაიბარა მაშინვე მზარეულის ცოლის საყვარლის ცოლი და ურჩია: „რადგან შენი ქმარი ამისთანა უკანონო საქმეს ჩადის, შენ უნდა უჩივლო მას ერთად მზარეულთან და კანონითმე მას სასტიკათ დავსჯი და ისევ შენს ერთგულებაში მოვიყვანო.“ ქმარზე გაანჩხლებული დედა-კაცი, რასაკვირველია, დაეთანხმა მსაჯულს.

აქ სახით მოართვეს მსაჯულს მისივე გამოწყობილი და გამოჩარხული თხოვნა. მსაჯულმა მიიღო რა თხოვნა, საჭიროდ დაინახა, რომ ადვოკატი დაენიშნა მთხოვნელებისათვის; იფიქრა: „ვინაიდგან კანონით ოლქის სასამართლოს აქვს ნება დანიშნოს თავის მხრით ვექილი ბრალდებულის დამცველად, უეჭველია, მეც, როგორც მსაჯულს, ნება უნდა მქონდეს კერძო გამამტყუნებლად ჩემი მხრით ამ საქმეში დავნიშნო ვინმეო.“

ამ მოსაზრების ძალით, დაუნიშნა მზარეულსა და მის მომხრეს ვექილად ერთი ადვოკატთაგანი, რომელიც იმყოფება მის ზნეობითს და იურიდიულს განკარგულებასა შინა.

დიდის თავ-მოწონებით წარსდგა უ. ადვოკატი საქმის განრჩევის დღეს სასამართლოში. ის ამტკიცებდა მარწმუნებელთ საჩივარს მოწმეების ჩვენებით.... წინააღმდეგ ამისა მზარეულის ცოლმა მოახსენა მსაჯულს: „რადგანაც თქვენ ამსაქმეში მოწმეები მიიღეთ, რომელნიცა ამტკიცებენ ისრეთს გარემოებას, რომლის დანახვა იმათ არ შეეძლოთ, ამისათვის მე გთხოვთ, ჩემის მხრითაც მიიღოთ მოწმენი [illegible], რომ ადვოკატი და მისი მოწმენი ცრუობენ და იმათ არ უნახავთ რა.“

ამნაირად ეს საქმე გარდიდვა მოწმების კითხვაზე.

ჯერ კიდევ არ გათავებულა ეს საინტერესო საქმე და როგორც კი გათავდება, უეჭველად შეგატყობინებთ.

მეორე ამბავი ის გახლავსთ, რომ ერთი ვინმე ჩინოვნიკთაგანი გარდიყვანეს უმაღლესს ადგილზე. მგონა, რომ, როგორც ჩვეულებათ შემოიღეს ჩვენში, საზოგადოება გამოსათხოვარ სადილს გაუკეთებდა; მაგრამ შეცდა მოლოდინში: ნებით რო არავინ გაუკეთა, ორს თავის ნაცნობს სთხოვა, ეთავათ საზოგადოებაში მისთვის სადილის გამართვა; მაგრამ ვერც აქ გააწყორა. უკანასკნელ გაემგზავრა წასასვლელად ვაგზალისკენ. ფიქრობდა, იქ მაინც დახვთიბოდენ ამხანაგები გამოსათხოვრათ; მაგრამ აქაც შეცდა. შეწუხდა თავმომწონე ვაჟბატონი, ავიდა ვაგონის ბალკონზე, თითქო ტრიბუნაზე, და იქიდან, წინაშე თავის იასაულისა, რომელსაც ვაგონში შეჰქონდა მისი ბარგი, წარმოსთქვა შემდეგი წიტყვა:

„მოწყალეო ხელმწიფევ, უ. იასაულო! ვსწუხვარ, რომ საზოგადოებამ ვერ დააფასა ჩემი შრომა და კეთილი გული! თქვენ თვითონ იცით, მე რვა წელიწადზე მეტი მიმსახურნია აქ და არცერთი კაცი არ დაჩაგრულა ჩემის ნიჭიერის კალმისაგან. ეხლა წარმოიდგინეთ ჩემი კეთილი გული: რაც საქმეები მე საწარმოებლად მქონდა, ყველა ისე ხელ-უხლებლად დაკეცილი ჩამიბარებია უ-

# მწერლობა

## ნ. ბარათაშვილის ლექსები

—

ქართული მწერლობა.—ლექსნი თქმულნი ნ. ბარათაშვილისაგან. 1876 წ.

### I.

იმას, რასაკვირველია, დამტკიცება არ უნდა, რომ ჩვენი საზოგადობრივი წესი, ჩვენი ხასიათი და მოქმედებანი არ არიან დამყარებულნი სამართალზედ, სვინიდისზე და სიყვარულზე. ჩვენ ვმოქმედობთ ესე და არა სხვა გვარათ იმიტომ, რომ სხვაგვარი მოქმედება ჩვენ ჯიბეს ვერრას მოუმატებს, ან ჩვენ ამპარტავნობას ვერ დააკმაყოფილებს, და ხშირადაც მოხდება ისე, რომ ვაკეთებთ ერთ საქმეს და არა სხვას, იმიტომ რომ ჩვენ ჭკუას, სინიდისს არ ვენდობით და სხვის მიხედულობით ჩავდივართ ჩვენთვის გაუგებარ საქმეებს.

რომ კაცი ძალიან ხშირად თავის სვინიდისის დაუკითხავათ უგვარო საქმეებში ისვრის ხელებს, რომ კაცი ძალიან ხშირად სამართალს ყურს არ უგდებს, გულითადად სძულს თავის მოძმე და ცდილობს იმას ფეხი წაუდოს,—ამაებს სრულებით დამტკიცებაც არ უნდა.

ეს იცის ყველამ როგორც სამართლიანმა, ისე უსამართლომა, როგორც კაცობრიობის მოყვარემ, ისე ახირებულმა დესპოტმა, როგორც გამოუცდელმა ახალგაზდამა, ისე ბებერმა, გასვრილმა ათასნაირ საქმეში. ჩვენი ამგვარი მდგომარეობა იცის ყველამა, მაგრამ ყველას არა აქვს რაინდული გული, რომ ფიქრობდეს საზოგადოების წესის გაუმჯობესობაზე, საზოგადოების ზნეობით ამაღლებაზე. ყველას კი არა, ძალიან ცოტას აქვს იმდენი ძალა, რომ არ ჩაეფლეს საზიზღ ცხოვრების ტლაპოში და არ მიეცეს ამ ტლაპოს მდინარეობას. ცოტა მოიპოვება იმისთანა, რომელიც უანგაროთ ებრძვის ძველ წესს, გაუნათლებლობას, გზას უჩვენებს ახალგაზდებს და უჩვენებს მათ თავის ძრიელ ბრძოლას.

კაცი, სავსე კაცობრიობის სიყვარულით, ეხლანდელ საზოგადობრივ წესის სიძულილით, კაცი, რომელიც ელტვის უკეთესს ცხოვრებას, თუ კი არის ამგვარი კაცი ეხლა ჩვენში, უნდა იყოს პოეტი, თუნდა არა სწერდეს გარანდულ ლექსებს, თუნდ არ აიღოს კალამი ხელში; მაგრამ არა, არ შეიძლება, რომ ამგვარმა კაცმა არ აიღოს ან კალამი, ან ჩანგი ხელში.

მაშ ვის გადასცეს იმან თავის გულის წუხილი, თავის კეთილშობილური კვნესა, ვის მიანდოს თავის ოცნებანი, თუ არ ქაღალდს, რომელიც იქნება როდისმე ჩაუვარდეს ხელში რომელსამე უბედურს, დაჩაგრულს, რომელსაც მისცემს ეს ქაღალდის ნაკუწი ძალას ებრძოლოს რაინდულად ყოველგვარ მძლავრობას და უგუნურებას.

ბევრს უკვირს—რათ არის ეხლანდელი ევროპა ღარიბი პოეტებითაო, რატომ აღარ ჩნდებიანო შილლერები და ბაირონები, და თუ ისინი არა, ლერმონტოვები და პუშკინები მაინცაო. ვინ იცის, იქნება ამის მიზეზი ის იყოს, რომ იქ ეხლა იმდენი უგვარობა და მძლავრობა არ იყოს, რომ ისე ღრმად აღელვოს პატიოსანი წარმომადგენელნი იქაურ საზოგადოებისა, ან იქნება ეხლა ამათ ბევრად აღარ სჭირიათ ქაღალდი და შეუძლიანთ თავიანთი ოცნებანი, უანგარო გრძნობანი შეატყობინონ ქვეყანას უქაღალდოთ, ლაპარაკით პარლამენტში ან კერძოობრივ სხდომებში?

მაგრამ ჩვენ ევროპას ვერ შევედრებით; ჩვენში კიდევ ბევრი რამ მოიპოვება ამაღელვებელი პატიოსან კაცისა; ჩვენში ბევრს არავის შეუძლიან ორატორობა, ჯერ კიდევ ბევრი საჭიროებს ჩუმ კაბინეთურ შრომაში და ქაღალდის საშუალებით ჩამომავლობასთან ლაპარიკში. იქნება ეს იყოს მიზეზი, რომ ჩვენში ამ უკანასკნელ ორმოც, სამოც წელიწადს, თუმც არ დაბადებულა არც ერთი მეტად გამოჩენილი ორატორი, ჟურნალისტი და დრამატურგი ან პოლიტიკური მწერალი, მაგრამ ამ დროს რამდენიმე იმისთანა პოეტი აღმოგვიჩნდა, რომლის მსგავსებს ვერც ერთი ევროპიული ხალხი თავიანთში ვერ დათვლის ათობით და ოცობით.

ჰყვანდა ჩვენც კაცი, რომელიც გულგრილად ვერ უყურებდა ამ ქვეყანასა „ცრუს და მუხთალსა,“ მომქერალ სოფელს ვერ აჰყვებოდა და ამ თავის ობლობაზე სწერდა ლექსებსა. ამ ლექსებს კითხულობდა ალტაცებით ჩვენში ყველა, ვისაც კი გული არ გაჰქვავებოდა. მაგრამ მოკვდა უდროოთ პოეტი და იმის თაყვანის-მცემლებმა, ნათესავებმა და ამხანაგებმა დაივიწყეს დაუვიწყარი პოეტი და იმის ლექსები მხოლოდ ამ ათი თუ თუთხმეტი წლის წინათ ახალ თაობამ გამოსძებნა და ჯერ ბეჭდა სხვა-და-სხვა ჟურნალებში და ბოლოს, ამ წელს გამოსცა კიდეც მთლად.

მარტო დღეს შეუძლიან ხალხს გაიცნას ნ. ბარათაშვილი; მარტო დღეს გვაქვს ღონის-ძიება დავაფასოთ იმის ნიჭი.

კანვე, არათუ იმისათვის, რომ მე შრომა დამზარებოდეს, არამედ იმისთვის, რომ ხალხი მიყვარს და მისი წყენა მეზარებოდა, მტყუანიც და მაინც რომ ყოფილიყო მაინცა. მე ვმადლობ მხოლოდ იმ პატიოსან ვაჭრებთა, რომელნიც ცრემლით გამომეთხოვნენ გუშინ ჩემს სადგომში და წარმოიდგინეთ, მეტის გრძნობით ალტაცებულთა ჩემი ვასხებითი ბარათები სულ ჩემს წინვე დახიეს! ამით მე იმათ გამომიცხადეს ღირსეული გრძნობა და პატივი. აგრეთვე დიდათ გმადლობთ თქვენ, მოწყალეო ხელმწ-ფევ, უფ. იასაულო, თქვენის ერთგულის სამსახურისათვის წინაშე ჩემისა და გრძნობათა ჩემთა, რომელნიცა სრულიად კმაყოფილნი შთებიან თქვენის ჰკუ-სა, მოხერხებისა და სინიდისისაგან.“

ამ სიტყვებით გაათავა გამოსალმება და წარემგზავრა...

N

# რუსეთი

მოსკოვიდამ იწერებიან, რომ დღე არ გავა, რომ ჩვენს ქალაქში ცეცხლი არ გაჩნდესო. საშინელი სიცხეებია თურმე ამ ჟამად მთელს სამხრეთ რუსეთში და ამის გამო შიში აქვთ, რომ თუ ამ ერთ-ორ კვირაში წვიმები არ მოვიდა, წლევანდელი მოსავალი სულობით გაფუჭდებაო.

***

ოდესის ქალაქის გამგეობას, რომელიც განთქმულია დიდკაცებისთვის სადილების გამართვით, უნდოდა, როგორც სწერდნენ, შინაგანი საქმის მინისტრისთვის ტიმაშევისთვის გაემართა სადილი, რადგან ამ დღეებში იმას ოდესაში მოელოდნენ. მაგრამ მინისტრს, შეუტყვია თუ არა ეს ამბავი, იმწამსვე მოუწერია ქალაქისთვის, რომ ჩემთვის ნურც შესაგებებლად ემზადებით და ნურც სადილს მიკეთებთო.

***

ციმბირის ღენერალ-ღუბერნატორს ამას წინეთ რამდენიმე თავის ჩინოვნიკი გაუგზავნია სოფლებში, რომ ხალხს გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის სარგებლობა ჩააგონოს. ეს ჩინოვნიკები დაბრუნებულან ახლა ომსკში და 32 სოფლის საზოგადოების განჩინება ჩამოუტანიათ, რომლითაც ისინი აცხადებენ სურვილს, რომ ჩვენს სოფელში ხსენებული ამხანაგობა შესდგესო.

***

მთავრობა ზოგს ერთგული სამსახურისთვის და ზოგს ისე გლეხებს ბევრ მიწებს ურიგებს ხოლმე ისეთს ალაგებში, სადაც მიწები ბევრია და მცხოვრებლები კი ცოტა. ამ საქმეში მთავრობას მხოლოთ ის განზრახვა აქვს, რომ მცირე მცხოვრებლებიანი მიწები დასახლოს, რომ იმათ კარგათ შეამუშაონ ეს მიწები. მაგრამ ეს განზრახვა თითქმის არსად არ გამართლდა; ყველგან შეუმუშავებლად სტოვებენ მიწებს ეს პირნი.

გაზეთებში იწერებიან ახლა, მთავრობა ახალი განკარგულების გამოცემას აპირებსო, რომლის ძალითაც, ყველას, ვისაც კი მიწები მუქთად მიეცემა, ვადას დაუნიშვნენო და თუ იმ ვადის განმავალობაში არ შეამუშავეს მიწები, მაშინ ჩამოართმევენო. ამას გარდა, მთავრობა ახალ დასახლებულებს სესხადაც რამდენსამე ფულსაც მისცემს, თუ კი შეატყო, რომ დასახლებულები ნამდვილის გულით მუშაობენო. ზოგიერთ პირებს, რომელნიც კარგ თამბაქოს, ღვინის მოყვანას ან სხვ. წარმოებას მოჰკიდებენ ხელს და კარგათაც წაიყვანენ, იმათ მთავრობისაგან ფულით საჩუქარიც მიეცემათო.

ეს განკარგულება შეეხება აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც ჩვენი შავი ზღვის ნაპირას ესახლებიან.

# უცხო ქვეყნები

სერბია. ძალიან აღელვებულს მდგომარეობაშია ამჟამად სერბიის საზოგადოება; ერთის მხრით იქაური ახალგაზრდობა და დაწინაურებული საზოგადოება მაინც-და-მაინც თხოულობს თურმე, რომ ოსმალეთს უეჭველად ომი უნდა გამოუცხადოს ჩვენმა მმართებლობამაო, რადგან ამისთანა მოხერხებულ დროს, რომ ოსმალეთის დამოკიდებულებისაგან განვთავისუფლდეთ, ჩვენ ჩვენს დღეში ვერ ვიშოვნითო. მეორეს მხრით, ევროპის უმთავრესი სახელმწიფოები, როგორც ამბობენ, ძალას ატანენ თურმე სერბიის მთავარს, არ გაბედო ოსმალეთთან ომის ატეხაო. ამას გარდა იმასაც ამბობენ, რომ ფინანსიური მდგომარეობა სერბიისა ამჟამად ისეთიაო, რომ მხოლოთ ომის წყალობით შეუძლიან მთავრობას გაჭირვებიდამ გამოვიდესო.

მაგრამ კიდეც რომ ატყდეს ბრძოლა სერბიასა და ჩერნოგორიას და ოსმალეთს შუა, ეს ბრძოლა მაინც დიდი არაფერი აქნება, რადგან უმთავრეს სახელმწიფოებმა, როგორც ამას წინათ გაცნობეთ, გადაწყვიტეს, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთო.

— გუშინწინ ქალაქში მოსულმა ტელეგრამმამ შეგვატყობინა, რომ სერბიამ თავის ჯარს ოსმალეთის სამზღვარზე მოუყარა თავიო და სტრატეგიული პუნქტები დააჭირაო. მაშასადამე, როგორც სჩანს, უბრძოლველად საქმე არ გადაწყდება.

—

ოსმალეთი. სტამბოლში განსაკუთრებით და საზოგადოთ მთელს ოსმალეთში დიდი არეულობა და უწესოება ჰსუფევს, როგორც უცხო ქვეყნის გაზეთები გვატყობინებენ, ხალხი აღელვებულიაო; კაცები დაიარებიან და აჯანყებას უქადაგებენ სოფლებსა და ქალაქებსაო. დღე ისე არ გავა თურმე, რომ ოსმალეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში და სოფლებში რამდენიმე კაცი არ დაატყვევონ და საპყრობილეში არ ჩასვან.

---

ეხლა საყვედლოს, ვისაც კი ცოტად მაინც უყვარს ქართული მწერლობა, გარდაკითხული და თითქმის გაზეპირებული აქვს ბარათაშვილის ლექსები *) და მეტი, მგონია, არ იყოს, მკითხველო, მოვილაპარაკოთ ეხლა იმათზე, მით უფრო რომ ამ საგანზე ჩვენს მწერლობაში თქმულა სულ ორჯერ-სამჯერ, ისიც გაკვრით.

II

პოეტი თავის პირველ ლექსებშივე მოგვითხრობს ამა სოფლისა დაუდგრომელობაზე: ბულბულისგან ვარდის დაკარგვაზე, საყვარლის ღალატზე და კეთილ მეფეთაც კი მოუსვენრობაზე. ზოგჯერ პოეტი, ასე მგონია, თავის თავს ამხნევებსო, უნდა თავის თავთ დააჯეროსო, რომ ღირს კაცმა იცოცხლოს ამა სოფელსა მუხთალსა და დაუდგრომელსა. „ფიქრებში მტკვრის პირას“ პოეტი მოგვითხრობს ამა სოფლისა ამაოებაზე, რომ დაუდგრომელ ქვეყანაში ვერ იპოვნით ვერავის, რომ ბედნიერი და თავის თავის კმაყოფილი იყოს; უძლიერესნი მეფენიც კი სულ იმაზე ფიქრობენო, თუ როგორმე უფრო გავადიდოთო ჩვენი სამფლობელოო; ან თუ ვინმემ კეთილი საქმე უყოს ქვეყანას, რა გამოვა ამისგანა, როცა ვიცით, რომ სოფელს უნდა ბოლო მოეღოს და მაშინ ვინღა იგრძნოს კეთილ საქმეთა ნაყოფნი, და ვინღა ისინი განთქვასო! მაგრამ არა, პოეტს უნდა თავის თავს დაუმტკიცოს, რომ მაინც ღირს იცოცხლოს კაცმა და სარგებელიც კი მოუტანოს ამ მუხთალ სოფელს და ამბობს:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში, და სოფელს კი არა რა არგოს!

პოეტი სცდილობს დაივიწყოს სოფელი მომჟღერალი, თავი რითმე გაირთოს, ხან ჰაეროვან ქალს დამღერის და ხან საყურესა; მაგრამ ვერ დაუვიწყნია იმას თავის მომავალი; „რა მოელის ხვალ და ზეგ?“ — აი საყოველთაო ფიქრი პოეტისა; ის შეშფოთებით ჰკითხავს თავისთან მოჩურჩულე იდუმალ ხმას:

ანგელოზი ხარ მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი, მაცდური ჩემი,
მინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?

მაგრამ ამაზე პასუხს არ აძლევს არავინ, პოეტი ჰგრძნობს, რომ ეს იდუმალი ხმა — ეშმაკისაა, და სიცოცხლე — ეკლიანი გზაა. — მაგრამ რისთვის უნდა დავიტანჯოო, ფიქრობს პოეტი, როდესაც ვგრძნობ, რომ არაფისთვის ავი არ მისურნიაო.

ნუთუ ხმა ე'ე არს ხმა დევნისა
შეუწყალისა სინიდისისა!
მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა,
მის საშფოთველოს და საქენჯნავსა.

ნუ დაევმონავებით მომჟღერალ სოფელს, ჩვენ თითონ ვიცხოვროთ უზრუნველადაო, ფიქრობს პოეტი, და იგივეს ურჩევს თავის მეგობრებს („ჩემთ მეგობართ“). მაგრამ არა, პოეტი ვერ უყურებს გულ-გრილად ყოველგვარ ავს, რომელიც იმის თვალს წინ ხდება ყოველ დღე; იმას, თითონ დაჩაგრულს ამ საზოგადოსიავისაგან, აღარ ესმის თავის ჩანგურისგან დარდიმანდული, მხიარული ხმები ჰაეროვან ქალზე და ლხინზე; მისგან პოეტს ესმის მხოლოდ კვნესა, ტირილი. ტყუილად ნატრობს ის:

ჰოი ჩონგურო, ნეტავი ოდეს
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,
რომ უკუმყროდეს მე სევდიანსა გულისა სენი!
მაგრამ სად ვნახო შენი ღიმილი
სიხარულითა გამოჩენილი?
მე შენგან მესმის მოკლულის გულის თდენ ჩივილი!

მაშ ესე, გადაწყდა მგოსნის ბედი, „დაჭკნოლა ქარმან სასტიკმა, თან წარიტანა ყვავილი, მაცხოვლებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღვსილი“ და ქარმა ისე დაუნდობლად დასუსხა ეს ნაზი ყვავილი, როგორც მრავალი სხვა უფრო ნაზიც, რომელთაც თითონ პოეტი იმ დრომდი დასტიროდა.

მაგრამ პოეტი არ ჩაჩუმდა, სასტიკმა ქარმა ის უფრო გააშფოთა და აი რას ჰკითხავს მრისხანედ სულს ბოროტს, აი რას მოსთხოვს ამ დაუნდობელ სოფელს:

მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მამიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?
ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას?...
წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთ აღთქმათა
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი ჩემთ გულის-თქმათა!...
განვედი ჩემგან ჰოი მაცთურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მაშვრალი?
ვაჲ მას, ვისცა მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

ვ. თ.

(დასასრული შემდეგ №-ში)

*) აქ, სხვათა შორის, ვიტყვით, რომ 1200 ეგზემპლიარიდამ ბარათაშვილის დაბეჭდილ ლექსებისა ამ ხუთი თვის წინათ, დღეს დარჩა გასასყიდლათ 150 ეგზემპლიარამდი და ჩქარა საჭირო იქნება ახალი გამოცემა.




ათასი პირი, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ **მცენარეობითს ქინო-გლიცერინის პომადისა**, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პომადა უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობის მცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს ქიმიის პროფესორისა ლანდგერიხტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. კლეტჩინსკისა და ნუბართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველი და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლეპილი თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირვლათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეშს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ყველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

**ფასი ბანკისა 2 მანეთი**

ყოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

**პ ო მ ა დ ა**

**„PASTA EUGENIE“**



ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie ისყიდება **ტფილისში** ლანკოს მუზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, **ვლადიკავკაზში**— სეგალთან და **სტავროპოლში** კურილჩენკოსთან, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა.

ეს პომადა „Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქეში და სიცხისაგან სახეზე მოდებულ სიშავე სრულიად იკარგება და მსწრაფლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიცხოველე ეძლევა. ყველაზე უფრო ეს პამადა იმათთვის არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ვენის ქიმიის პროფესორი კლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

**ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.**

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.





ყოველ პამადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დაღი, ამურის სურათით და გამამგონის ხელის მოწერა. ყიდვის დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.

P. S. პამადა „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და ყელზე. **BERTHAE RIES.**



**ხ ე ლ ი ს პ ა მ ა დ ა**

ეს პამადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრმა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

**ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.**

**თმის საღებავი**—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

**ტოკაის ბალზამი**—საშუალება მაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. 54—21

**კავკასიის საბებიო ინსტიტუტი სამშობიარო ჰოსპიტლით**

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ჰოსპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე, დილის 8 საათიდამ $9\frac{1}{2}$-მდი დოქტორი არტემიევი და $9\frac{1}{2}$-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და კაპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

# საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

რის ბუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,

**იმპერატორის**  **სასახლის მეიჯარადრე !**

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სასახლეებისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.

1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მივიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.





გამომგონი პასუხს აგებს.

**ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.**



**პრეის-კურანტი:**

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ.

დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.



**უმთავრესი დეპოარის ტფილისში**, დვორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; **ვლადიკავკაზში**, სეგალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; **სტავროპოლში**—კურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. **აქვე ისყიდება თმის საღებავი.** 54—22

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) ტფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 11 თიბათ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 32 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 334 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 100 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 203 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 201 | 75 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| ტფილ. სააზნ. ბანკისა. | 94 | -- |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 88 | — |
| მოსკოვის (5%) | 86 | 75 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 172 | — |
| ფოთი-ტფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკაზის და მერკურის. | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 15 თიბათ. | | |
| პური შორაგალის ფთ. | — | 80 |
| ქერი ფუთი. | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 5 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი. | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 50 |
| —ყარაქამისა ფთ. | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 60 |
| —ცხვრისა, ლიტრა. | — | 70 |
| სპირტი, ვედრო. | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 10 |
| —ფხვნილი ფუთი. | 6 | — |
| ყავა გრგვალი ფუთი. | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. | 6 | 18 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Iюня 1876 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.